„საკურორტო, რეკრეაციული, სპორტული და სხვა კულტურულ-გამაჯანსაღებელი მიზნით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლების გაცემის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის 2023 წლის 24 მარტის N609/ს ბრძანების საფუძველზე:

1. სააგენტო რეკრეაციული ტყითსარგებლობის უფლების 30-დან 49 წლის ვადით გაცემას განიხილავს იმ შემთხვევაში, თუ ტყის სპეციალური სარგებლობა გაიცემა ერთ ჰა-ზე არანაკლებ 300 000 ლარის ოდენობით ინვესტიციის განხორციელების პირობით (საინვესტიციო თანხა დაანგარიშდება ჰექტრამდედამრგვალებით).

2. სააგენტო რეკრეაციული ტყითსარგებლობის უფლების 15 დან - 30 წლამდე ვადით გაცემას განიხილავს იმ შემთხვევაში, თუ ტყის სპეციალური სარგებლობა გაიცემა ერთ ჰა-ზე 150 000 ლარიდან 300 000 ლარამდე ოდენობით ინვესტიციის განხორციელების პირობით (საინვესტიციო თანხა დაანგარიშდება ჰექტრამდე დამრგვალებით).

3. სააგენტო რეკრეაციული ტყითსარგებლობის უფლების 15-წლამდე ვადით გაცემას განიხილავს თუ ტყის სპეციალური სარგებლობა გაიცემა ერთ ჰა-ზე 150 000 ლარამდე ოდენობით ინვესტიციის განხორციელების პირობით.